

საქართველოს ორგანული კანონი

**„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (პარლამენტის უწყებანი, N001, 27.02.1996, გვ. 8) 7³ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკონსტიტუციო სასამართლოში დასანიშნი კანდიდატების უზენაესი სასამართლოს პლენუმზე დასახელების უფლება აქვს პლენუმის ყველა წევრს. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატურა პლენუმს წარედგინება სხდომამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისა და პლენუმის სამდივნოსთვის წარმდგენი მოსამართლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ჩაბარებით. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ასარჩევად პლენუმის სხდომა ინიშნება სხდომამდე არაუგვიანეს 2 კვირისა. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დასანიშნად საჭიროა კანდიდატმა მიიღოს პლენუმის სიითი შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერა. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ წარდგენილია რამდენიმე კანდიდატი და პლენუმის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერა ვერცერთმა ვერ მოიპოვა, იმართება მეორე ტური. მეორე ტურში მონაწილეობს საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატი. მეორე ტურში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშნულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც პლენუმის სიითი შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერას მიიღებს. თუ პლენუმის სიითი შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერა ვერცერთმა კანდიდატმა ვერც მეორე ტურში ვერ მოიპოვა, პროცედურები თავიდან იწყება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის პირველი ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

ვენეციის კომისიის კლასიფიკაციის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ჰიბრიდულ მოდელს განეკუთვნება.¹ ეს გულისხმობს, რომ მისი დაკომპლექტების პროცესში ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს. სასამართლოს 9 წევრიდან 3-ს ნიშნავს უზენაესი სასამართლო.² გადაწყვეტილებას იღებს პლენუმი.³ ამ პროცედურაში არის საკითხები, რომელთა დახვეწაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სამართლებრივ რეალობას და გაზრდიდა მოსამართლეთა ლეგიტიმაციის ხარისხს.

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) განმარტების შესაბამისად, კანდიდატთა შერჩევის პირობებში სრული გამჭვირვალობაა საჭირო.⁴ ეს აუცილებელია რამდენადაც, თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ მის საქმეს კომპეტენტური მოსამართლეები განიხილავენ. ხელისუფლების ყველა შტომ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს ამ მიზნის მისაღწევად.

2020 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში უზენაესი სასამართლოს კვოტით ორი წევრი დაინიშნა.⁵ პირველი იყო მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილი, რომელიც, მოწოდებების⁶ მიუხედავად, თანამდებობაზე საგანგებო მდგომარეობის დროს, 2020 წლის 3 აპრილს განწესდა (რაც პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობის შესაძლებლობას ამცირებდა). კანდიდატის ვინაობის შესახებ ინფორმაცია თავად პლენუმის წევრებსაც არ

¹The Composition of Constitutional Courts, Reports and Studies on Constitutional Justice, Strasbourg, 14 April 2020, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), გვ. 5; ვენეციის კომისიის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია : <https://bit.ly/2Aw0KJl>, განახლებულია: 23.03.2021.

² საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტი.

³ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

⁴ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N10 (2007), §50, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ea0EFN>, განახლებულია 19.05.2020.

⁵ 2020 წლის 3 აპრილს თანამდებობაზე დაინიშნა ხვიჩა კიკილაშვილი, ხოლო 2020 წლის 29 მაისს - ვასილ როინიშვილი.

⁶ საია მოუწოდებს უზენაესი სასამართლოს პლენუმს, საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე შეაჩეროს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნის პროცედურები, 2020 წლის 30 მარტი, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YqRgHv>, განახლებულია: 12.06.2020.

ჰქონდათ.⁷ პროცესი უარყოფითად შეფასდა.⁸ თუმცა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა მიღებული გამოცდილება და იგივე განმეორდა 2020 წლის 29 მაისსაც ვასილ როინიშვილის დანიშვნისას.⁹ კანონპროექტი უზრუნველყოფს მომავალში იგივე სიტუაციაში სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურის არსებობას. სიახლის მიხედვით გონივრული ვადით ადრე უნდა გასაჯაროვდეს პრეტენდენტთა ვინაობა.

პრობლემაა კანდიდატის წარდგენის წესიც. მოქმედი რეგულირებით ამის უფლება მოხლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს.¹⁰ პლენუმი მნიშვნელოვანი თვითმმართველობის ორგანოა, რომელმაც უზენაესი სასამართლოს თითოეული მოსამართლის სასამართლოს მართვის პროცესზე გავლენის მოხდენის საშუალება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა უნდა უზრუნველყოს.¹¹ წარმოდგენილი პროექტი ამ მიდგომას იზიარებს და პროცესებზე ინდივიდუალური მოსამართლის გავლენას ზრდის.

მესამე საკითხი ეხება კვორუმს. მოქმედი წესის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დასანიშნად საჭიროა პლენუმის სხდომაზე დამსწრეთა 2/3-ის მხარდაჭერა, თავად პლენუმი უფლებამოსილია თუ მის სხდომას ესწრება წევრთა 2/3.¹² აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ხმების რაოდენობა გაიზარდოს.

კანონპროექტი ასევე აზღვევს შემთხვევას, როდესაც პირველ ჯერზე ვერ ხდება მოსამართლის დანიშვნა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონმდებელმა, უზენაესი სასამართლოს პლენუმს, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, ორი უმნიშვნელოვანესი ვალდებულება აკისრებს - თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასამართლოს მიმართ ხალხის ნდობის განმტკიცებას¹³ და სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.¹⁴

ცვლილებებით გათვალისწინებული საკითხების მეცვლა შეუძლებელია ნორმატიული მოწესრიგების ცვლილების გარეშე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

⁷ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე გასიტაშვილის განცხადება დისკუსიაზე „საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება“, 1:37:40-1:40:50 წთ.

⁸ საია უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის პროცესს უარყოფითად აფასებს, 2020 წლის 3 აპრილი, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xT9Kap>, განახლებულია: 27.05.2020.

⁹ საია უარყოფითად აფასებს პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის პროცედურებს, 2020 წლის 29 მაისი, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cQr5Pv>, განახლებულია: 12.06.2020.

¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-7³-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹¹ კუკავა ქ., ტალახაძე მ., ნოზაძე ნ., *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი*, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საია-ს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2AHeSPZ>, განახლებულია: 19.05.2020.

¹² საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლის, მე-4 პუნქტი.

¹³ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტი

¹⁴ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტი.

კანონპროექტის მიღება, ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის გაზრდას საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის დროს, გაიზრდება პლურალიზმი და გადაწყვეტილებები მეტად დაეფუძნება კონსენსუსს.

აგრეთვე, გაიზრდება ინდივიდუალური მოსამართლის როლი. კანონპროექტი მისცემს უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრებს შესაძლებლობას წარადგინონ კანდიდატები და აღარ იქნებიან შემოფარგლულნი უზენაესი სასამართლოს თამჯდომარის მიერ წარდგენილი კანდიდატებით, რაც უდავოდ წინ გადადმული ნაბიჯი იქნება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილებები შედის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7³ მუხლის მე-2 პუნქტში.

1. მე-7³ მუხლის მე-2 პუნქტის დისპოზიციას ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, გონივრული ვადით ადრე (პლენუმის სხდომამდე 10 დღე) უნდა გასაჯაროვდეს ინფორმაცია, კანდიდატების შესახებ;
2. კანონპროექტით, გათვალისწინებულია უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლის მიერ კანდიდატის წარდგენის შესაძლებლობა.
3. იცვლება გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ხმების ოდენობა და იზრდება სიითი შემადგენლობის 2/3-მდე.
4. კანონპროექტი განსაზღვრავს, რა ხდება იმ შემთხვევაში თუ პლენუმი პირველ ჯერზე ვერ აირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ არის ინიცირებული მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ძალაში შედის პირველი ივნისიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო ბიუჯეტი. **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტის არ ექნება გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ²) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: